გიგა ბასილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
g.basiladze1985@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.09

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები

საკვანძო სიტყვები: ნიკო ნიკოლაძე, პუბლიცისტიკა

ნიკო ნიკოლაძე, როგორც პუბლიცისტი, გამორჩეულია თავისი მრავალმხრივი და დაუღალავი საქმიანობით. ქართულ ისტორიოგრაფიაში, დიდი ქართველის ჟურნალისტური საქმიანობა სათანადოთ არ არის შესწავლილი და გაშუქებული. სწორედ ამიტომ გვინდა წარმოვაჩინოთ ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური მოღვაწეობის უმთავრესი ასპექტები, მიმართულება და თემატიკა, რომელიც ძირითადად XIX ს-ის 60-80-იან წლებს მოიცავს.

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური მოღვაწეობა სტუდენტობის პერიოდში იწყება. ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას, იგი თანამშრომლობს რუსულ გაზეთებთან. 1864 წლის მარტში მან პატარა წერილი - „ბოკლი და ქალთა საკითხი“ გამოაქვეყნა გაზეთ «Народное богатство»-ში (სახალხო სიმდიდრე). იმავე წლის აგვისტოში ნ. ნიკოლაძემ ჟურნალ «Современник»-ში (თანამედროვე) გამოაქვეყნა ვრცელი მოთხრობა „პროვინციული სურათები“, რომელიც მაშინდელ საზოგადოებაში ქალის როლსა და მდგომარეობას ეხებოდა.

ნ. ნიკოლაძე პრესასთან აქტიურ თანამშრომლობას აგრძელებს საფრანგეთში სწავლის პერიოდშიც. 1865 წლის იანვარში, პარიზში გარდაიცვალა უტოპისტ-სოციალისტი პიერ ჟოზეფ პრუდონი. ნიკოლაძე პრუდონის შეხედულებებს არ იზიარებდა, მაგრამ „მოსწონდა კაცი, რომელიც გულწრფელად იღვწოდა იმისა-თვის, რომ ადამიანთა საზოგადოება უკეთესი გამხდარიყო“ (ბაქრაძე 2011:41). ამიტომ იგი წერს ნარკვევს - „პიერ ჟოზეფ პრუდონი“, რომელიც 1865 წლის 21 იანვარს იბეჭდება «С-Петербургская Ведомость»-ში (სანკტ-პეტერბურგის ფურ-ცელი). ამავე წლის იანვარში ნ. ნიკოლაძეს პარიზში სტუმრად ეწვია ალექსანდრე გერცენი, რომელმაც მას შესთავაზა «Колокол»-ში (ზარი) თანამშრომლობა და დაუკვეთა სტატია „კავკასიაში მიმდინარე საგლეხო რეფორმა“. ეს სტატია დაიბეჭდა «Колокол»-ის რედაქციაში, მიღებისთანავე. პარიზში პირველი წარმატებული სტატიის შემდეგ, ნ. ნიკოლაძემ 1865 წლის 1 აგვისტოსა და 15 სექტემბრის «Колокол»-ის ნომრებში კიდევ ორი სტატია გამოაქვეყნა: «Наши будущие адвокаты перед Московскими ведомостями» და «Июньские дни в Тифлисе».

ალექსანდრე გერცენთან დიდი ქართველის თანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მათ შორის თავი იჩინა სერიოზულმა აზრთა სხვადასხვაობამ. ნიკოლაძე გერცენს „ხელისუფლებასთან შერიგების მცდელობაში სდებს ბრალს და აკრიტიკებს“ (ბაქრაძე 2011:54). ამგვარად 1865 წლის სექტემბერში ნ. ნიკოლაძე წყვეტს «Колокол»-თან თანამშრომლობას, სტოვებს საფრანგეთსა და სასწავლებლად შვეიცარიაში გადადის.

შვეიცარიაშიც ნიკო სწავლასთან ერთად ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა. 1866 წელს რუსულ ენაზე გამოიცა მისი წიგნი - „მთავრობა და ახალი თაობა“. ეს წიგნი წარმოადგენს ავტორის იმ პერიოდის პოლიტიკურ შეხედულებათა დაჯამებას, რომელსაც მიზნად აქვს პოლიტიკური შეფასება მისცეს ერთი მხრივ მთავრობის, მეორე მხრივ „ახალგაზრდა ემიგრაციის საქმიანობას (ნიკოლაძე 1962:317-369). ნაშრომში, ავტორი მკაცრად აკრიტიკებს ცარისტულ მთავრობას. იგი მკითხველს დაწვრილებით მიუთითებს იმ სიყალბეებზე, რომელსაც XIX ს-ის 60-იან წლებში ალექსანდრე მეორის ხელისუფლება ეწეოდა საგლეხო რეფორმის განხორციელებისას. რაც შეეხება „ახალ თაობას“, ნიკოლაძის აზრით - ისინი იბრძვიან ისეთი საზოგადოებრივი წყობისათვის, სადაც გაუქმებული იქნება პრივილეგიები. ავტორის აზრით, ასეთი წყობილების დროს, თავადაზნაურობის ინტერესებმა ადგილი უნდა დაუთმოს ხალხის ინტერესებს და შეედუღოს მათ.

რაც შეეხება ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხს, მისი თქმით, **„ახალი თაობა ამბობს: რუსეთს არავითარი უფლება არ აქვს იბატონოს იმ ქვეყანაზე, რომელსაც სურს თვითონვე იყოს თავისი თავის ბატონ-პატრონი და თვითონვე გაუძღვეს საკუთარ საქმეებს“** (იქვე, 355).

1868 წლიდან ნიკოლაძე ლ. მეჩნიკოვთან ერთად იწყებს ჟურნალ «Современ-ность»“-ის (თანამედროვეობა) გამოცემას. ამ ჟურნალში ნიკოლაძემ გამოაქვეყნა ცნობილი წერილები: «Русская эмиграция», «Два поколения», «Жизнь Евро-пы», «Народное дело», «Роль революционеров».

როგორც ვხედავთ, ევროპაში სწავლის პერიოდში ნ. ნიკოლაძე აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა. მისი სტატიები ეხება იმ პერიოდის მნიშვნე-ლოვან პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებს და ცხოველ ინტერესს იწვევს მკითხველში. სწავლის დასრულების შემდეგ, ევროპიდან საქართველოში დაბრუნებული იგი, ს. მესხთან ერთად 1870 წლის გაზაფხულზე იწყებს გაზეთ „დროება“-ში მოღვაწეობას.

„დროება“ დაარსდა 1866 წლის 4 მარტს გიორგი წერეთლის რედაქტორობით. ეს იყო პირველი ქართული პოლიტიკური გაზეთი, რომელშიც აქტიურად განიხილებოდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მწვავე საკითხები. გაზეთი გაჟღენთილი იყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთებით. მთავრობა ეჭვითა და უნდობლობით ეკიდებოდა გაზეთს, მკითხველი კი მოითხოვდა მამხილებელ და მომწოდებლურ სტატიებს.

ნ. ნიკოლაძე არასოდეს არ ყოფილა გაზეთ „დროების“ ოფიციალური რედაქტორი, მაგრამ თუ ეს გაზეთი მაშინდელი მსოფლიოს საუკეთესო გამოცემათა დონეზე იდგა, პირველ რიგში სწორედ მისი დამსახურება იყო. „თავისი პრინციპების, ეროვნული და სოციალური მრწამსის, პროფესიული ღირსების დასაცავად ნ. ნიკოლაძე არაერთხელ წარბშეუხრელად დამდგარა ბარიერთან და მკერდი მიუშვერია გატენილი დამბაჩისათვის“ (კალანდაძე 1987:58-59).

გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულმა კრიტიკულმა პუბლიცისტურმა სტატიებმა ნ. ნიკოლაძეს სახალხო აღიარება და სიყვარული მოუპოვა. მისი წერილები გამოირჩეოდა თემატიკის მარავალფეროვნებითა და ფართო ერუდიციით. ნიკოლაძე „დროების“ ფურცლებზე დიდ ყურადღებას უთმობს როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განხილვას („ძველი ჩინოვნიკის გულისტკივილი“; „ჩვენი საზოგადო საქმეები“; „მამია გურიელის საქმე“; „ქალაქის საზოგადო გამგეობაზე“; „სასოფლო სასამართლოები და ჩვენი აზნაურობა“; „ჩვენი ახალგაზრდობა“ და სხვ.), ასევე

საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემების ანალიზს („გერმანიის მდგომარეობა“, „ომი საფრანგეთსა და გერმანიას შუა“; „პრუსიის გაძლიერება გერმანიაში“; „ომის გავლენა ევროპაზე“; „იმპერატორი ნაპოლეონი დაატყვევეს“ და ასე შემდეგ...).

სამწუხაროდ, მალე იჩინა თავი უთანხმოებამ ს. მესხსა და ნ. ნიკოლაძეს შორის. ისინი მორიგეობით იწყებენ „დროების“ ნომრების მომზადებას. ასე გამოდიოდა გაზეთი რამოდენიმე თვის განმავლობაში, რაც ცხადია დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ამიტომ ნ. ნიკოლაძე თხოვნით მიმართავს კავკასიის მეფისნაცვალს, რომ მიეცეს უფლება რუსულენოვან გაზეთ «Обзор»-ის (მიმოხილვა) გამოცემისა. ეს თხოვნა, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირის, არ დააკმაყოფილეს. მაშინ ნიკომ სხვა გამოსავალი იპოვა. მან დაითანხმა გიორგი წერეთელი და მისი სახელით გამოითხოვა ჟურნალ „კრებულის“ გამოცემის უფლება.

ჟურნალი „კრებული“ ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით გამოდიოდა 1871 წ. ზაფხულამდე. პარალელურად იგი აგრძელებს ნაყოფიერ მოღვაწეობას „დროებაში“.

1872 წლის გაზაფხულზე ნ. ნიკოლაძე ტოვებს საქართველოს და ტყიბულის ქვანახშირის საქმეების მოსაგვარებლად საფრანგეთში მიემგზავრება. იგი არ წყვეტს კავშირს „დროებასთან“, აქვეყნებს მასში სტატიებს, ასევე ზრუნავს „კრებულის“ მასალების მოსამზადებლად. პარიზში ყოფნისას 1873 წლის პირველ აპრილს, ნიკოლაძე იწყებს ნაბეჭდი ქართული გაზეთ „დროშას“ გამოცემას. ეს გაზეთ სულ გამოვიდა ათი ნომერი. გამოდიოდა 1 აპრილიდან 11 აპრილამდე და იყო მოცულობით ოთხი გვერდი.

1873 წლის მაისში ნ. ნიკოლაძე საქართველოში ბრუნდება. ამ პერიოდში იგი ერთდროულად სამ ბეჭდვით ორგანოსთან „დროება“, «Тифлисский Вестник»-სა (თბილისი მაცნე) და ჟურნალ „კრებულთან“ თანამშრომლობს. მისი სტატიები დიდ მოწონებას იმსახურებს და განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე.

1873 წლის ნოემბერში ნ. ნიკოლაძე კვლავ საფრანგეთში გაემგზავრა, მაგრამ აგრძელებს საქართველოში არსებულ ჟურნალ-გაზეთებთან თანამშრომლობას. 1874 წელს მან ორი სტატია „დროებაში“, ცხრა კი «Тифлисский Вестник»-ში გამოაქვეყნა. მაგარმ იმავე წლის თებერვალიდან ნიკომ შეწყვიტა „დროებასთან“ თანამშრომლობა და 1876 წლის მარტამდე არცერთი წერილი არ დაბეჭდილა „დროების“ ფურცლებზე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1875 წლის 2 თებერვალს „დროებაში“ დაბეჭდილ ნიკოლაძის წერილს „სხვათაშორის“ - გ.ბ.). სამაგიეროდ გრძელდება მისი თანამშრომლობა «Тифлисский Вестник»-თან.

1875 წლის აპრილში, პარიზში, ნ. ნიკოლაძე გამოსცემს ფრანგულ ენაზე დაწერილ ბროშურას სათაურით „ფრანგული პრესის დეკადანსი“. ბროშურა წარმოადგენს იმდროინდელი ფრანგული ჟურნალისტიკის მიმოხილვას. ნაშრომში ავტორი გვაძლევს საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის პრესის მკაცრ, მაგრამ სამართლიან კრიტიკას. საუბრობს რა ჟურნალისტიკის მნიშვნელობასა და გაზე-თების როლზე, ნ. ნიკოლაძეს აუცილებელ მომენტად მიაჩნია მისი სანდოობა: „მსმენელს თქვენი სიტყვისა უნდა სჯეროდეთ, თქვენი გულწრფელობისა უნდა სწამდეთ. იმდენად ძლიერად და კეთილსინდისიერად უნდა გთვლიდნენ, რომ თქვენი ნათქვამი სერიოზულად მიიჩნიონ“ (ნიკოლაძე 1964:83).

ნიკოლაძის თქმით, საფრანგეთში არსებული გაზეთები ძირითადად გამოდიან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ინტერესების დამცველად. განსხვავებით ინგლისური, გერმანული და ამერიკული პრესისაგან, სადაც შენარჩუნებულია აზრის თავისუფლება და ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროს კეთილსინდისიერი გაშუქება,

ფრანგულ გაზეთებს აკისრიათ დაქირავებული ადვოკატების როლი. გაზეთები ეძებენ „არა სიმართლეს, არა სინათლეს, არამედ არგუმენტებსა და ყალბ საბუთებს“ (იქვე: 104). ჟურნალისტი წერს არა ამბის გადმოსაცემად, არამედ იმის დასამტკიცებლად, რაც დავალებული აქვს, რაც იწვევს ფრანგი მკითხველის უნდობლობას.

ავტორს ფრანგული პრესის კიდევ ერთ მინუსად მიაჩნია ნაკლები დაინტერესება პროვინციითა და უცხოეთის პოლიტიკური ამბებით. პარიზული გაზეთების გაცნობის შემდეგ - წერს ნიკოლაძე, მკითხველი რწმუნდება, რომ მთელს სამყაროში არსებობს მხოლოდ საფრანგეთი, მთელს საფრანგეთში კი მხოლოდ პარიზი და ვერსალია ხალხის ყურადღების ღირსი.

ბოლოს კი ავტორი აკეთებს დასკვნას: „საფრანგეთის ინტერესი, ისევე როგორც თვით ფრანგული პრესისა, გადაუდებლად მოითხოვენ პრესის დღევანდელი სიტუაციის რადიკალურ რეფორმას“ (იქვე: 126). წინააღმდეგ შემთხვევაში, პრესა ისე დაასრულებს სიცოცხლეს, როგორც ანტიკურ საბერძნეთში დაასრულეს სიცოცხლე ორაკულებმა და სოფისტებმა: ხალხის სრულ გულგრილობას ზიზღი მოჰყვება და ეს იქნება სიკვდილის წინ უკანასკნელი დარტყმა.

ნ. ნიკოლაძე ფრანგული პრესის მესვეურთ სთავაზობს ვითარების გამოსწორების გზას: პრესამ უარი უნდა თქვას ყოველგვარ პოლიტიკურ ხრიკებზე და თავიდან მოიშოროს არაკეთილსინდისიერება და ცილისწამებანი. მას ერთადერთი ამოცანა უნდა ჰქონდეს - ხალხის გაცნობიერება; ჟურნალისტმა პატიოსნად და რეალურად უნდა მოახდინოს გაშუქება საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სამყაროს ინტელექტუალური პროგრესისა.

ქართველი პუბლიცისტის ამ ნაშრომმა დიდი ინტერესი გამოიწვია ისეთ ფრანგ მოღვაწეთა შორის, როგორებიც იყვნენ ლუი ბლანი, ივ გიო, ჟირარდენი და სხვა. განსაკუთრებით საყურადღებოა ჟურნალ „რადიკალის“ მთავარი რედაქტორის, ცნობილი ფრანგი ჟურნალისტის ივ გიოს შენიშვნა: „არასგზით არ შეიძლება წარმოიდგინოთ, რომ იგი არის დაწერილი უცხოელი ჟურნალისტის მიერ. ძალიან ცოტა ფრანგი ჟურნალისტი შესძლებდა ამის დაწერას ასეთი ენით, ასეთი სიძლიერითა და სისწორით“ (გამეზარდაშვილი 1983:78).

1875 წლის შემოდგომაზე ნ. ნიკოლაძე საქართველოში ბრუნდება. მისი მეშვეობით «Тифлисский Вестник»-ი ყოველდღიურ ორგანოდ იქცა. მალე ნიკო კვლავ უბრუნდება გაზეთ „დროების“ ფურცლებს. 1876 წლის 10 მარტს ისევ გამოჩნდა „დროებაში“ მისი სტატია სათაურით „სალამი“.

1877-1878 წლებში რუსეთსა და ოსმალეთს შორის მორიგი ომი დაიწყო. 1877 წლის აპრილში ნ. ნიკოლაძე ამ ომში კავკასიის ფრონტზე გაემგზავრა, როგორც ჰავასის სააგენტოსა და «Тифлисский Вестник»-ის სპეციალური სამხედრო კორეს-პონდენტი. გაზეთ «Тифлисский Вестник»-ს ნ. ნიკოლაძე ფრონტის ხაზიდან აწვდიდა მეტად საინტერესო წერილებს სათაურით «Походные письма» („ლაშქრობის წერილები“ - სულ 12) და «Походный дневни»“ (ლაშქრობის დღიური -3 წერილი). ამ გაზეთთან თანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

1877 წლის ივნისიდან ნ. ნიკოლაძე წყვეტს გაზეთ «Тифлисский Вестник»-თან ურთიერთობას და თავს ანებებს მის სპეციალურ კორესპონდენტობას. მაგრამ, იმავე წლის სექტემბრიდან ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე, ნ. ნიკოლაძეს კვლავ ომის ფრონტზე ვხედავთ, როგორც გაზეთ «Голос»-ის (ხმა) სამხედრო კორესპონდენტს. გაზეთ «Голос»-ის ფურცლებზე ნიკოლაძის წერილები ქვეყნდებოდა საერთო რუბრიკის «Военный отдел»-ის

(სამხედრო განყოფილება) ქვეშ (ნიკოლაძე 1966:625). სულ 12 წერილი გამოქვეყნდა. ნ. ნიკოლაძესთან ერთად ამ ომში, გაზეთ «Голос»-ის სპეციალურ კორესპონდენტად იმყოფებოდა გიორგი წერეთელი (სულაბერიძე 2010:17).

ამგვარად, ნ. ნიკოლაძე წარმატებით აგრძელებს თავის ჟურნალისტურ მოღვაწეობას და აქტიურად თანამშრომლობს როგორც ქართულ, ასევე რუსულ-ენოვან გაზეთებში. მიუხედავად წარმატებისა, მას კვლავ სურს საკუთარი ბეჭდვი-თი ორგანოს დაარსება. 1877 წლის 23 ივნისს ნიკოლაძემ კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწეს თხოვნით ისევ მიმართა, რათა მიეცათ უფლება მისთვის საკუთარი გაზეთის გამოცემისა. ამჯერად თხოვნა დაუკმაყოფილეს. 1878 წლის პირველ იანვარს გამოვიდა ნიკოლაძის საკუთარი გაზეთის «Обзор»"-ის (მიმოხილვა) პირველი ნომერი.

გაზეთი „Обзор"-ი იყო პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, რომელიც ნ. ნიკოლაძის ოფიციალური რედაქტორობით გამოდიოდა თბილისში. გაზეთის გარშემო მწერლებისა და ინტელიგენციის დარაზმვა ცხადია შეუმჩნეველი არ დარჩენია მთავრობის ძალოვან უწყებებს. ცენზურა მკაცრად ადევნებდა თვალს ნ. ნიკოლაძესა და მის გაზეთს. «Обзор»-ის დაარსებიდან რამოდენიმე თვეში, მთავრობამ გაზეთი ოპოზიციურ ორგანოდ მიიჩნია, 1880 წლის ივლისში ხელისუფლებამ გაზეთი «Обзор»-ი დახურა, ხოლო მისი რედაქტორი სტავროპოლში გადაასახლა.

ნ. ნიკოლაძე გადასახლებაში 1881 წლამდე იმყოფებოდა. იგი არც აქ წყვეტს პუბლიცისტურ საქმიანობას და ახერხებს სტავროპოლიდან გაზეთ «Голос»-ში (ხმა) სტატიების გამოქვეყნებას.

1881 წელს ნიკოლაძემ უფლება მიიღო დაეტოვებინა სტავროპოლი, მაგრამ აეკრძალა საქართველოში დაბრუნება. ამიტომ, იგი პეტერბურგში გაემგზავრა და იქ 1886 წლამდე დარჩა. პეტერბურგში ნიკოლაძე მუშაობას იწყებს რკინიგზის სამმართველოში, რაც აძლევს საშუალებას, სამსახურებრივი მოვალეობით ზოგჯერ საქართველოც მოინახულოს. ამ პერიოდში იგი თანამშრომლობს ჟურნალებში - «Устой» (ბურჯი) და «Отечественные записки» (სამამულო ჩანაწერები), განსაკურებით კი ამ უკანასკნელში. ნ. ნიკოლაძე მწერალ სალტიკოვ-შჩედრინის მიწვევით ხდება «Отечественные записки»-ს კრიტიკის განყოფილების გამგე. პეტერბურგში ცხოვრების პერიოდში (იგულისხმება 1881-1886 წლები — გ.ბ.) ნ. ნიკოლაძე შუამავლობდა მოლაპარაკებებს, რეაქციულ «Священная Дружина»-ს (წმინდა რაზმი) და «Народная Воля»-ს (სახალხო ნება) ხელმძღვანელებს შორის ტერორის შეწყვეტაზე. იმპერატორ ალექსანდრე II-ის მოკვლის შემდეგ, ტერორის აღკვეთა ხელისუფლების დიდ საზრუნავს წარმოადგენდა. მთავრობამ შუამავლობა ნ. ნიკოლაძეს მიანდო, იმ მოსაზრებით, რომ იგი ერთის მხრივ წინააღმდეგი იყო ტერორისტული ქმედებისა, ხოლო მეორეს მხრივ კი ცარიზმის მმართველობის სისტემისა. ამიტომ, როგორც შუამავალი, ნიკოლაძე მისაღები იყო «Народная Воля»-სათვის. შუამავლობის სანაცვლოდ ნიკომ მოითხოვა ხელისუფლებისაგან ჩერნიშევსკის გათავისუფლება. მთავრობამ მას დაპირება შეუსრულა. ჩერნიშევსკი გაათავისუფლეს და ასტრახანში ცხოვრების უფლება მისცეს.

1887 წელს ნ. ნიკოლაძე პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდა. იგი კვლავ ერთვება აქტიურ ჟურნალისტიკაში. ამავე წელს მან თბილისის საოლქო სასამართლოს და თბილისის სასამართლო პალატის წევრის, ნაფიც მსაჯულ ა. სტეპანოვისაგან შეიძინა გაზეთი «Новое обозрение» (ახალი მიმოხილვა) (ბაქრაძე 2011:130). 1887-1891 წლებში, ოთხი წლის მანძილზე, ნ. ნიკოლაძე «Новое обозрение»-ს რედაქტორობდა და იყო წამყვანი

პუბლიცისტიც. გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა მისი წერილების სერია, რომელშიც პუბლიცისტი მკაცრად აკრიტიკებდა ი. ჯაბადარს.

ნ. ნიკოლაძე გაზეთ «Новое обозрение»-ს ოთხი წლის განმავლობაში ედგა სათავეში. 1891 წელს მან გაზეთი ძმებ თუმანიშვილებს მიჰყიდა. იგი არც ამის შემდეგ წყვეტს გაზეთთან თანამშრომლობას და დროდადრო აქვეყნებს საინტერესო სტატიებს სხვადასხვა საკითხებზე. «Новое обозрение»-დან წასვლის შემდეგ ქართველი პუბლიცისტი პრაქტიკულად ჩამოშორდა აქტიურ ჟურნალისტიკას. იგი მომდევნო წლებშიც აგრძელებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებთან თანამშრომლობას, მაგრამ ნაკლები ინტენსივობით ვიდრე XIX ს-ის 70-80-იან წლებში.

უბრალო თვალის გადავლებაც კი საკმარისია იმის გასააზრებლად, თუ რა ტიტანურ შრომას ეწეოდა ბატონი ნიკო, როგორც პუბლიცისტი. მისი ჟურნალისტური კრედო იყო სიმართლე, საზოგადოების განათლება-გაცნობიერება, ობიექტურობა და ჭეშმარიტება. კარგი იქნებოდა თუკი 21-ე საუკუნის ქართული მასმედიის წარმომადგენლები გაეცნობოდნენ დიდი ქართველის ჟურნალისტურ მოღვაწეობას, გაითავისებენ მის მრწამსს და მსოფლმხედველობას.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე, ა., (2011): ნიკო ნიკოლაძე. თბილისი
2. გამეზარდაშვილი, დ., (1983): ნიკო ნიკოლაძე. თბილისი: გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“
3. გუგუშვილი, პ., (1941): ქართული ჟურნალისტიკა, ნაწილი I. თბილისი: სახელგამი
4. დონაძე, ვ., (1987): ნიკო ნიკოლაძის სოციოლოგიური და ისტორიული შეხედულებანი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
5. კალანდაძე, ა., (1987): ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V. თბილისი: გამომცემლობა ,,განათლება“.
6. ნიკოლაძე, ნ., (1962): მთავრობა და ახალი თაობა. თხზულებანი, ტ. I. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. ნიკოლაძე, ნ., (1964): ფრანგული პრესის დეკადანსი. თხზულებანი, ტ. IV. თბილისი: ,,სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
8. სულაბერიძე, დ.,(2010): გიორგი წერეთელი. ქუთაისი: სასწავლო უნივერსიტეტ ,,ლამპარის” გამომცემლობა

Giga Basiladze

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

g.basiladze1985@gmail.com

https://doi.org/10.52340/lac.2025.10.09

Main aspects of Niko Nikoladze's publicistic works

Abstract

The history of Georgian journalism has known many outstanding figures, but Niko Nikoladze, as a publicist, stands out for his versatile and tireless work. In Georgian historiography, the journalistic activities of the great Georgian have not been adequately studied and covered. That is why we want to present the most important aspects, direction, and themes of N. Nikoladze's journalistic work, which mainly covers the 1960s-1980s.

Niko Nikoladze's journalistic work began during his student years. These were not his first steps in journalism. While still in St. Petersburg, he collaborated with Russian newspapers. In March 1864, she published a short letter, "Bokley and the Women's Issue," in the newspaper „Народное

богатство“ (People's Wealt). In August of the same year, N. Nikoladze published an extensive story "Provincial Pictures" in the magazine „Современник“ (Contemporary), which dealt with the role and status of women in the society of that time. N. Nikoladze continues to actively cooperate with the press even during his studies in France. In January 1865, the utopian-socialist Pierre Joseph Proudhon died in Paris. Nikoladze did not share Proudhon's views, but "he liked a man who sincerely strived to make human society better." Therefore, he wrote an essay, "Pierre Joseph Proudhon," which was published on January 21, 1865, in "С-Петербургская Ведомость" (St. Petersburg Gazette). In January of the same year, N. Nikoladze was visited in Paris by Alexander Herzen, who offered him collaboration in „Колокол“ (The Bell) and commissioned him to write an article “On the ongoing peasant reform in the Caucasus”. This article was published by the editorial office of „Колокол“ upon receipt. After the first successful article in Paris, N. Nikoladze published two more articles in the issues of „Колокол“ dated August 1 and September 15, 1865: „Наши будущие адвокаты перед Московскими ведомостями“ and „Июньские дни в Тифлисе“.

The great Georgian's collaboration with Alexander Herzen did not last long. Serious differences of opinion emerged among them. Nikoladze accuses and criticizes Gertsen for "attempting to reconcile with the government." Thus, in September 1865, N. Nikoladze ceased his collaboration with „Колокол“, left the country and moved to Switzerland to study. Just like in Paris, Niko also works as a journalist in Switzerland alongside his studies. In 1866, his book "Government and the New Generation" was published in Russian. This book is a summary of the author's political views of that period, which aims to provide a political assessment of the activities of the government, on the one hand, and the "young emigration" on the other (Nikoladze 1962:317-369).

In the work, the author harshly criticizes the tsarist government. He points out in detail to the readers the frauds committed by the government of Alexander II in the 1860s while implementing the peasant reform. As for the "new generation", in Nikoladze's opinion, they are fighting for a social order where all privileges will be abolished. As for the issue of the struggle for national freedom, he said, "**The new generation says: Russia has no right to rule over a country that wants to be its own master and manage its own affairs"** (ibid., 355).

As we can see, during his studies in Europe, N. Nikoladze was actively engaged in journalistic activities. His articles deal with important political or social issues of the period and arouse lively interest among readers. After completing his studies, he returned to Georgia from Europe and, together with S. Meskhi, began working at the newspaper "Droeba" in the spring of 1870. „Droeba" was founded on March 4, 1866, under the editorship of Giorgi Tsereteli. This was the first Georgian political newspaper that actively discussed the country's pressing domestic and foreign policy issues. Critical journalistic articles published in the newspaper "Droeba" earned N. Nikoladze public recognition and love. His letters were distinguished by their diversity of topics and broad erudition. Nikoladze, in the pages of "Droeba", pays great attention to the discussion of social and economic problems of society, as well as the analysis of international political problems.

Unfortunately, disagreements soon arose between S. Meskhi and N. Nikoladze. They take turns preparing issues of "Droeba." The newspaper was published like this for several months, which obviously could not last long. Therefore, N. Nikoladze appealed to the Crown Prince of the Caucasus to be granted permission to publish the Russian-language newspaper " Обзор " (Review). This request, as a politically unreliable person, was not granted. Then Niko found another solution. He agreed with Giorgi Tsereteli and requested the right to publish the magazine "Collection" on his behalf. The magazine "Krebuli" was published under the editorship of N. Nikoladze until the summer of 1871. At the same time, he continued his fruitful work in "Droeba".

Key words: Niko Nikoladze, publicistic works